

# ქალთა უფლებები მემკვიდრეობის განაწილებისას

მარიამ ჭყონია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე იურისტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

ხელმძღვანელი: ამირან მეშველიშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

## აბსტრაქტი

საქართველოს გააჩნია არა-ერთი ეროვნული ხასიათის საკანონმდებლო აქტი, რომელიც უზრუნველყოფს ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობას ნებისმიერ ასპექტში. გაერთიანებული ვართ სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციებში, რის შედეგადაც გამუდმებით ვახორციელებთ მნიშვნელოვან, პროგრესულ ნაბიჯებს ადამიანის, ასევე, ქალის უფლებების დაცვის მხრივ, შესაბამისად ეროვნული კანონმდებლობა იღებს საერთაშორისო სტანდარტების იდენტურ იერსახეს. ერთი შეხედვით, გაგვაჩნია მრავალფეროვანი მექანიზმი გენდერული ბალანსისათვის, თუმცა აღნიშნული პირობა არ აძლევს აბსოლუტურ გარანტს ქალს ღებულობდეს მემკვიდრეობას, ანალოგიურად ისე, როგორც მამაკაცები საქართველოში. სამემკვიდრეო სამართლის თანახმად, ქალიც სარგებლობს მემკვიდრეობის უფლებით, თუმცა რეალურ ცხოვრებაში აღნიშნული უფლება ფორმალური დატვირთვისაა. ქალისათვის სამემკვიდრეო უფლების შეზღუდვა გამოწვეულია საქართველოში ისტორიულად არსებული ადათ-წესებიდან გამომდინარე. რა თქმა უნდა, ასე იქმნება მემკვიდრეობის არათანაბარი განაწილების პრაქტიკა. ოჯახიდან მემკვიდრეობის სანაცვლოდ ადათ-წესებიდან გამომდინარე ქალი ღებულობს მხოლოდ „მზითვს“, რაც თავისთავად, არ შეიძლება, იყოს სამემკვიდრეო წილის ტოლფასი. მხოლოდ მამაკაცი მიიჩნევა ოჯახის მემკვიდრედ, ქალის მხრიდან ნებისმიერი პრეტენზია მემკვიდრეობის მოთხოვნით საზოგადოების განკითხვის გამომწვევია და ამიტომ, ის თემნის ვალდებულებით შემოიფარგლება, მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო რეგულაციები ამის აბსოლუტურ უფლებას იძლევა. პრობლემის საფუძველს წარმოადგენს არასაკმარისად ქმედითი საკანონმდებლო ინსტიტუციები, რომ აღკვეთოს აღნიშნული გენდერული დისბალანსი მემკვიდრეობის განაწილებისას. პრობლემის, აშკარა, გამოხატულებაა არაჯანსაღი ადათ-წესი, რომელიც ახდენს კანონის და ქალის კანონიერი უფლების შეზღუდვას, მემკვიდრეობის განაწილების ასპექტში. ნაშრომის მეთოდოლოგია მოიცავს, მსჯელობას, თემის ჭრილში, საერთაშორისო მექანიზმებისა და კანონმდებლობის

ანალიზს. საქართველოში ისტორიულად არსებული ადათ-წესების წარმოსახვას და შედარებას. ქართულ რეალობას, გამოკითხვის შედეგებს. თემის შედეგი პრევენციის მიზნით არის პრობლემის კომპლექსური ხასიათის მკითხველისათვის გაცნობა.

## **Abstract**

Georgia has national laws and by joining international organizations, adopted liberal regulations which is formally guarantee equality between woman and man. However, law regulations do not come accordance cultural values, and are not shared by society, as much as traditions of inheritance. Unfortunately, the problems of gender inequality are still vital issues in Georgia. In case of national law, in Georgia a daughter and a son formally has the same rights to access to their parent's inheritance, but there are rare cases, when woman demands her pars of it. This is not justified by society to contend for the inheritance with brother. Formal institutions are not strong to prevent this form of domestic violence. The inner problem of this research is, that such junk traditions should not have such strong influence in our lifestyle, however, we have human law regulations. The methodology of the research is: analyzed national and international regulations, deface mechanisms for the woman's rights. Complex picture of traditions of inheritance in Georgia and abroad. Reality about inheritance case and recorded interviews.